საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1970

2021 წლის 10 ნოემბერი

ქ. თბილისი

„კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული №1 დანართის („კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესი“):

ა) პირველი პუნქტის „ო.ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო.ბ[1]“ ქვეპუნქტი:

„ო.ბ[1]) სპეციალური პენიტენციური დაწესებულების საკარანტინო სივრცეებში განთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები და სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების პერსონალი, აგრეთვე ბრალდებულები/მსჯავრდებულები, აღნიშნული დაწესებულების კარანტინზე გადაყვანის შემთხვევაში;“;

ბ) მე-19 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-20 პუნქტი:

„20. ამ წესის პირველი პუნქტის „ო.ბ[1]“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის საკარანტინო სივრცეებში განთავსებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების, ასევე სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულების პერსონალის PCR მეთოდით ტესტირება განხორციელდება არაგეგმურად (საჭიროების შესაბამისად შემუშავებული განრიგით).“.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2021 წლის 30 აგვისტოდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**